თავი 12. დიდი ბრიტანეთის საქმიანი კულტურის თავისებურებანი

დიდი ბრიტანეთი, ოფიციალურად დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოა, იგი უნიტარული მოწყობის სახელმწიფოა დასავლეთ ევროპაში, საპარლამენტო მონარქიით (ნახ. 46-47), რომელიც არის ინგლისის, უელსის, შოტლანდიისა და ჩრდილოეთ ირლანდიის პოლიტიკური გაერთიანება. დიდ ბრიტანეთს ეკუთვნის აგრეთვე: **ანგილია, ბერმუდის კუნძულები, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები, კაიმანის კუნძულები, ფოლკლენდის კუნძულები, გიბრალტარი, მონსერატი, პიტკერნის კუნძულები, წმინდა ელენე, ამაღლება და ტრისტანი-და-კუნია, სამხრეთ გეორგია და სამხრთ სენდვიჩის კუნძულები, ბრიტანეთის ინდოეთის ოკეანის ტერიტორია, თერქსიას და ქაიოქოსის კუნძულები.** დიდი ბრიტანეთის ფართობი 242,495 კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობით 65.110 მილიონი ადამიანი (2016 წლის ბოლოს). მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობა: 59.5% ქრისტიანი, 4.4% მუსლიმი, 1.3% ინდუიზმის და 0.4% იუდაიზმის მიმდევარი, 25.7% სარწმუნოების გარეშე და 1.5% სხვა რელიგიის წარმომადგენლები, ამასთან, ბრიტანელების ნაწილის (7.2%) რელიგიურობა უცნობია (2011 წლის მონაცემები).

2017 წლის მონაცემებით, მთლიანმა შიგა პროდუქტმა მსყიდველობითი უნარის პარიტეტით გაერთიანებულ სამეფოში შეადგინა 2.914 ტრილიონი აშშ დოლარი, რითაც იგი არის მე-9 ადგილზე მსოფლიოში და მესამეზე ევროკავშირში (მოსახლეობის ერთ სულზე კი 44,117 აშშ დოლარით, 25-ე ადგილზე მსოფლიოში), ხოლო ნომინალური 2.624 ტრილიონი აშშ დოლარის მოცულობით - მეხუთეზე მსოფლიოში. ადამიანისეული განვითარების ინდექსით 0.909 (2015 წ.) გაერთიანებული სამეფო ეკუთვნის ძალიან მაღალ დონეს (მსოფლიოში მე-16 ადგილზე [76]). ჯინის ინდექსი: 31.6 (2014 წ.)

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსით 5.51 (2017-2018 წწ.) დიდი ბრიტანეთი მე-8 ადგილზეა მსოფლიოში [77]. აღსანიშნავია, რომ გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მაჩვენებელი გაერთიანებული სამეფოსთვის ბოლო წლების განმავლობაში ხასიათდება პოზიტიური დინამკით (ნახ. 47).

ნახ. 46 გაერთიანებული სამეფო

(http://www.mapsofworld.com/united-kingdom/)

მსოფლიო ბანკის ჯგუფის მიერ გაანგარიშებული ბიზნესის კეთების სიადვილის ინდექსის მიხედვით (2017 წ.) გაერთიანებული სამეფო არის მე-7 ადგილზე [78].

დიდი ბრიტანეთისთვის (გაერთიანებული სამეფოსთვის) მთავარი თავუსებურება, განსხვავებით გერმანული და ფრანგული სოციალური საბაზრო მეურნეობებისგან, მდგომარეობს იმაში, რომ აქ გამოყენებულია განვითარების ნეოლიბერალური ანგლოსაქსონური მოდელი. ბრიტანული ეკონომიკური მოდელი უფრო ახლოსაა ამერიკულთან და მნიშვნელოვნად განსხვავდება კონტინენტური ევროპის ქვეყნების მოდელებისაგან.



ნახ. 47. გაერთიანებული სამეფო ევროპის და მსოფლიო რუკაზე (https://en.wikipedia.org/wiki/United_Kingdom#/media/File:EU-United_Kingdom.svg)

როგორც ცნობილია, დიდი ბრიტანეთის ეკონომიკის ფუნქციონირებისა და განვითარების თანამედროვე ნეოლიბერალური მოდელის საფუძვლები შეიქმნა ჯერ კიდევ 1979 წ., როდესაც განხორციელდა ე. წ. „ტეტჩერიზმის“ პოლიტიკა მაშინდელი პრემიერ-მინისტრის და ბრიტანელი კონსერვატორების ლიდერის მარგარეტ ტეტჩერის (პრემიერობდა 1979-1990 წწ.) მიხედვით. „ტეტჩერიზმი“ დიდ ბრიტანეთში, ისევე როგორც „რეიგანომიკა” ამერიკის შეერთებულ შტატებში, გულისხმობდა ქვეყნის ეკონომიკაში ნეოკონსერვატული რეფორმების განხორციელებას, რომელიც მიმართული უნდა ყოფილიყო ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს აქტიური როლის შემცირებისკენ.



ნახ. 48. გაერთიანებული სამეფოს გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის დინამიკა
https://tradingeconomics.com/united-kingdom/competitiveness-index

ამასთან, როგორც ცნობილია ისტორიულად „ტეტჩერიზმის“ განხორციელება დაიწყო „რეიგანომიკის“ განხორციელებაზე ადრე, თუმცა უშუალოდ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის, ასევე პრემიერის ინგლისელი რეფორმატორების ჯგუფის აზრების ფორმირებაზე და ქვეყნის ახალი

კურსის არჩევაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინეს ამერიკელმა ნეოლიბერალიზმის მიმდევარმა პროფესორებმა. ეკონომიკური რეფორმები ხორციელდებოდა მოთხოვნის უპირატესობის კეინზის იდეის უარყოფით მიწოდების ეკონომიკის კონცეფციისთვის უპირატესობის მინიჭების, მიწოდებისთვის ხელშეწყობის გზით. ამის შედეგად, სახელმწიფომ მოიშორა არაეფექტიანი და წამგებიანი საწარმოები, რომლებიც გახდნენ მაღალშემოსავლიანი კერძო სექტორის ხელში (უშუალოდ სახელმწიფოს დარჩა ეფექტიანი სახელმწიფო საწარმოები ან ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ეკონომიკის სფეროები, ხოლო სახელმწიფოს როლი დაყვანილ იქნა ეკონომიკის ირიბ რეგულირებაზე - მონეტარული და საფინანსო პოლიტიკით, ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაზე ინფლაციის დაბალი დონის და ჯანსაღი სახელმწიფო ფინანსების პირობებში).

ბრიტანული მმართველობითი კულტურის განხილვისას, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალიზმის მაღალი დონე, რომლის ფესვებიც, როგორ ცნობილია, მიდის შუასაუკუნეების რელიგიურ მემკვიდრეობასთან და ნათესაურ ტრადიციებთან, სადაც უმთავრესად ფასობდა ინდივიდუალური პასუხისმგებლობა, ინიციატივა და კონკურენტუნარიანობა. ინდივიდუალიზმის დონით გაერთიანებული სამეფო წააგავს ამერიკის შეერთებულ შტატებს, თუმცა შესამჩნევად უფრო მეტადაა ორიენტირებული გრძელვადიან პერიოდზე და შედარებით დაბალი აქვს განუზღვრელობისადმი თავის არიდების მაჩვენებელი (ნახ. 48).



ნახ. 49. გ. ჰოფსტედეს კულტურული მაჩვენებლები გაერთიანებული სამეფოსა და ამერიკის შეერთებული შტატებისათვის [38].

ბრიტანული ინდივიდუალიზმი აისახება თვით ორგანიზაციაზე მომუშავის შეხედულებით. მაგალითად, ცნება ჯგუფი გულისხმობს მხოლოდ ოჯახს (მეუღლეს, ბავშვებს და ხანდახან მშობლებს. ასევე ბრიტანეთში მომუშავეები არ თვლიან საჭიროდ, რომ ხელმძღვანელი ღებულობდეს მონაწილეობას მის პირად ცხოვრებაში (ეს აღიქმება პირად ცხოვრებაში ჩარევად).

.....ბრიტანული მმართველობითი კულტურის ინდივიდუალიზმი შესამჩნევად უფრო მკაფიოდაა გამოხატული, ვიდრე ესაა პორტუგალიურ, ესპანურ ან იტალიურ მმართველობით კულტურის პირობებში (ნახ. 50). ბრიტანული ინდივიდუალიზმი უფრო ძლიერია არა მარტო იტალიურზე, არამედ გერმანული ინდივიდუალიზმის დონეზეც. რაც შეეხება გრძელვა-

დიანი ორიენტაციის დონეს, ბრიტანული საქმიანი კულტურის ეს მახასიათებელი უფრო დაბალია იტალიურზე. გერმანული სტრატეგიული ორიენტაციის მაჩვენებელი არსებითად უფრო მაღალია იგივე მაჩვენებელზე ბრიტანული მმართველობითი კულტურის პირობებში (ნახ. 51).



ნახ. 50. გ. ჰოფსტედეს კულტურული მაჩვენებლები ესპანეთის, პორტუგალიის და გაერთიანებული სამეფოსათვის [38].

ბრიტანული საქმიანი კულტურისა და მთლიანად კულტურის სისტემის დახასიათებისას გასათვალისწინებელია მათზე მოქმედი ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: [87] საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა, ინგლისის ეკლესია (ანგლიკანური ეკლესია), პირველი ინდუსტრიული ქვეყნის ფენომენი, ინგლისურის, როგორც მსოფლიო ენის ფენომენი, პარლამენტარული დემოკრატია, ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია, ამერიკული კულტურა, ჰუმანიტარული

მეცნიერებები (ცნობიერების აბსტრაქტულობა და პროფესიული განათლების შედარებით დაბალი დონე).

ბრიტანელი ბიზნესმენის საქმიანი კულტურის თავისებურებების განხილვისას საინტერესოა რ. ლუისის მრავალწლიანი დაკვირვებებისა და კვლევების შედეგები [17;24]. როგორც აღნიშნავს მეცნიერი, ინგლისელები თავიანთ თავს თვლიან გულწრფელ, ყურადღებიან და მზრუნველ ადამიანებად.



ნახ. 51. გ. ჰოფსტედეს კულტურული მაჩვენებლები იტალიის, გერმანიის და გაერთიანებული სამეფოსათვის [38].

ინგლისური ორიგინალურობა ხშირად შეიძლება იყოს საკმაოდ ექსცენტრული, მაგრამ ისტორიას თუ გადავხედავთ, ინგლისელებს შორის გვხვდებოდნენ ფუნდამენტური მოაზროვნეები, საოცარი და დიდი შემოქმედებითი უნარით. ხშირად ძალიან მაღალგანათლებულები.



ნახ. 51. ბრიტანეთის ეროვნულ საქმიან კულტურაზე მოქმედი ფაქტორები [86]

ცნობილია, რომ ინგლისელებს ხშირად კრიზისების დროს აღმოუჩენიათ დიდი შინაგანი ძალა მომაკვდინებელი საშიშროების წინაშე. მაგრამ, მათი ჩაკეტილობა განუკურნებელია ... ნუ ეცდებით უარი ათქმევინოთ ინგლისელებს ორსართულიან ავტობუსებზე, წითელ საფოსტო ყუთებზე ან მათთვის ჩვეულ მარცხენამხრივ მოძრაობაზე.

როგორ მივიქციოთ ინგლისელების კეთილგანწყობა? რ. ლუისი აღნიშნავს, რომ ინგლისელები მშვენივრად გრძნობენ თავს ინგლისურად მოსაუბრე ხალხებთან - მათთან ისინი ადვილად შედიან არაფორმალურ და საქმიან ურთიერთობებში. ისინი კარგად გრძნობენ თავს სკანდინავიელებთან, ჰოლანდიელებთან და იაპონელებთან (თუ მათ კარგად იცნობენ). ინგლისელები თვლიან, რომ მოძებნილი აქვთ ოქროს შუალედი ფორმალიზმსა (გერმანელები, ფრანგები) და ნაჩქარევ არაფორმალურობას (ამერიკელები, ავსტრალიელები) შორის.

ბრიტანელები სხვადასხვა კლასებს მიეკუთვნებიან და არასდროს არ ღირს დავიწყება ამის შესახებ. როდესაც ურთიერთობა გაქვთ შეძლებულ კლასობრივ სისტემაში ჩართულ სამხრეთელებთან, ღირს ხაზი გაუსვათ თქვენს ცივილურობას და განათლებულობას, ხოლო თუ ურთიერთობა გაქვთ ჩრდილოელებთან, შოტლანდიელებთან ან ვალიელებთან - ხაზი უნდა გაუსვათ გულწრფელობას, პირდაპირობას და ურთიერთობების სიმარტივეს.

ბიზნეს-კომუნიკაციის დასაწყისში ბრიტანელები შეიძლება მოიქცნენ საკმაოდ ფორმალურად და სახელების გამოყენებას დაიწყებენ მხოლოდ ორი-სამი შეხვედრის შემდეგ. ამის შემდეგ, ისინი ხდებიან სულ უფრო და უფრო არაფორმალურები (იქეთ პიჯაკი, აკაპიწებული სახელოები) და გადადიან სახელებზე.

ბრიტანელებს უყვართ ოჯახი, საკმაოდ მშვიდად საუბრობენ შვილებზე, შვებულებაზე და ყვებიან მოგონებებს შეხვედრების დროს და შეხვედრებს შორის. იუმორი მიღებულია ბრიტანულ ბიზნეს-სამყაროში, ასე რომ, მოიმარაგეთ ანეგდოტები და ხუმრობები, ვისაც შეუძლია მოყოლა და გაცინება, უნდა გამოიყენოს ეს ტალანტი, აღნიშნავს რ. ლუისი.

ბრიტანელები ელოდებიან, რომ თქვენ უპასუხებთ ისტორიით ისტორიაზე, რაც ხელს შეუწყობს შეიქმნას კეთიგანწყობილი ატმოსფერო. გაფრთხილება (რ. ლუისი): ინგლისელ ხელმძღვანელებს შეუძლიათ გამოიყენონ იუმორი (მეტწილად ირონია და სარკაზმი), როგორც ოპონენტის დაცინვის იარაღი, უთანხმოების დემონსტრირებისათვის და ასევე ზიზღის გამოსახატავად. სარკაზმი იშვიათად ეხებათ სკანდინავიელებს, რადგანაც ისინი თავიანთი მორიდებული და თავშეკავებული საქციელით არანაირად არ იმსახურებენ ამას. ბრიტანელებს შეუძლიათ ძალიან მწარედ დასცინონ რომანუ-

ლი ხალხების წარმომადგენლებს ან ზედმეტად დემონსტრატიულ ადამიანებს. ყველაფერი ნათელი ხდება, თუ ვნახავთ როგორ ხუმრობენ ბრიტანელები საკუთარ თავზე და კოლეგებზე. ბრიტანელების მიერ ხშირად გამოყენებული იუმორის ფორმები და მიზეზები:

- **დაძაბული სიტუაციის მოსახსნელად, როდესაც მოსალოდნელი ხდება აზრთა შეუთანხმებლობა;**
- **ზედმეტი ფორმალობისაგან შებოჭილი დისკუსიის დასაჩქარებლად;**
- **ზემდგომი პირის გასაკრიტიკებლად გაგდების რისკის აცილებით;**
- **ახალი იდეის, შესაძლოა, მოულოდნელად წარსადგენად, კოლეგებისთვის, რომლებსაც არ აქვთ წარმოსახვის სათანადო უნარი;**
- **მოლაპარაკების ზედმეტად მკაცრ ატმოსფეროში მოულოდნელობის ელემენტის შესატანად;**
- **იმისათვის, რომ დასცინონ მენეჯმენტის უცნაურ პრიორიტეტებს და იდეებს კორპორატიულ დაგეგმვაში.**

ამრიგად, ინგლისელი მენეჯერის არსენალში იუმორი ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი იარაღია. ზოგიერთ ადამიანს შეუძლია დაიმსახუროს ბრიტანელების ნდობა, თუ დაამტკიცებს, რომ შეუძლია შეეჯიბროს ბრიტანელებს იუმორში და სიცილში. გერმანელს, თურქს, შვეიცარელს და ავსტრიელს ასეთი ამოცანა არც თუ ისე იოლი მოეჩვენება.

ბრიტანელებს არ უყვართ, როცა მათ აჩქარებენ. არსებითი უთანხმოებების არარსებობის დროსაც კი ბრიტანელები იშვიათად იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას შეხვედრაზე. ასეთ შემთხვევაში, მიზანშეწონილია იკითხოთ, მაგალითად, შეძლებთ მიიღოთ საბოლოო გადაწყვეტილება მომდევნო შეხვედრაზე? (რ. ლუისი). ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ბრიტანელები თავიანთ უთანხმოებას მოწინააღმდეგე

მხარესთან იშვიათად ამჟღავნებენ ღიად. ისინი ეთანხმებიან იქ, სადაც შესაძლებელია, მაგრამ ბოლომდე არა („ჰმ, საინტერესო იდეაა!"). ამ სიტუაციაში სხვა ეროვნების წარმომადგენლები პოზიციას გამოხატავენ უფრო ღიად:

- **ჩვენ ძალიან მოგვწონს, მაგრამ...**
- **ბუნდოვანია პასუხი;**
- **თავშეკავებული გამოთქმა, რომელიც ფაქტობრივად უარს ნიშნავს - „ეს შესაძლოა ცოტა გაძნელდეს";**
- **ჩართული იუმორი.**

ზოგიერთი ერის წარმომადგენლებს ძალიან კარგად ესმით უთქმელობა და იუმორი, მაგრამ მათ შეიძლება აღიზიანებდეთ ბრიტანული გაურკვევლობა, რომელსაც ბრიტანელები იყენებენ იმისათვის, რომ შეაჩერონ ოპონენტი ან გაწელონ მოლაპარაკებები. კითხვაზე: თუ რა გადაწყვეტილება მიიღეს, მათ შეუძლიათ უპასუხონ: „მე თქვენ მოგიყვებით ისტორიას". ყურადღებით მოუსმინეთ ისტორიას, ის შეიძლება აღმოჩნდეს ძალიან საინტერესო. ისტორიის მერე შეგიძლიათ ისევ ჰკითხოთ: „კარგით, რა ხდება გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით?". ბრიტანელი გიპასუხებთ: „მე უკვე გითხარით" (რ. ლუისი). გასათვალისწინებელია, ასევე რომ ბრიტანული კომპანიის წარმომადგენლები ხშირად საუბრობენ თავიანთი კომპანიის რეპუტაციაზე, მასშტაბებზე და სიმდიდრეზე. ამიტომ, თქვენც ნუ მოგერიდებათ, მოუყევით თქვენსაზე. ინგლისელები არ ხსნიან ბოლომდე მხოლოდ ერთს - თავიანთი კავშირების ძალას, თქვენც არ გირჩევთ უგულვებელყოთ ეს ფაქტორი.

ბრიტანელების ქცევების დახასიათება და მათთან დაახლოების ხელშემწყობი ფაქტორები

- თქვენი მთავარი იარაღია იუმორი და მშვიდი, გრილი მიდგომა;
- ბიზნესი და ფულის კეთება - სერიოზული საქმეა და შეეცადეთ მოიქცეთ უფრო ბუნებრივად;
- ბრიტანელები კარიერულ გამოწვევებს ღებულობენ;
- იყავით კონკურენტუნარიანები, მაგრამ ღიად ნუ დააბიჯებთ ფეხს ნურავის. გულწრფელ თამაშში არსებობს დაუწერელი კანონები - თავშეკავებული ლაპარაკი და მოქმედება. უნდა იქმნებოდეს იმის შეგრძნება, რომ ყველაფერი კონტროლს ექვემდებარება;
- ღია კამათიც დაშვებულია, მაგრამ უნდა გახსოვდეთ, რომ ადამიანი და მისი მოსაზრება - სხვადასხვა რამაა;
- როცა აკრიტიკებთ, არ ეთანხმებით ან აქებთ - ნუ იმოქმედებთ პირდაპირ, არამედ აზრი გამოხატეთ ირიბად;
- პუნქტუალობა წამი-წამში, ზოგჯერ შეიძლება ზედმეტი იყოს. შეგიძლიათ რამოდენიმე წუთით დაიგვიანოთ შეხვედრაზე, მაგრამ მთავარია მივიდეთ კარგად მომზადებული. შეხვედრების უმეტესობა იწყება ზოგადი საუბრებით;
- მენეჯერებს სურთ იყვნენ აღქმული გუნდის წევრებად, მაგრამ ყოველთვის იცავენ გარკვეულ დისტანციას;
- ინგლისელებს ურჩევნიათ ბრძანება გასცენ წინადადების ან მინიშნების სახით (მაგალითად: „იქნებ ვცადოთ აი ეს...“). მათ არ უყვართ თანამდებობებისთვის თაყვანისცემა და თვლიან, რომ XXI საუკუნეში ეს აღარაა აქტუალური;

- საკითხების განხილვისას ინგლისელები მზად არიან ეპიზოდური ორაზროვნებისთვის და შეუძლიათ კითხვა სტრიქონებს შორის;
- ინგლისელებთან დიალოგის დროს სრულიად მისაღებია თვითდამცირება და თვითდაცინვა;
- იყო წარმატებული - კარგი ტონია, ამიტომ პატივი ეცით სხვის წარმატებას;
- ზეპირი დისკუსიის შემდეგ მიწერეთ ინგლისელებს. მათ უყვართ შეთანხმებების მტკიცებულებები, შეხვედრების პროტოკოლების წარმოება, მადლობის წერილები, მეგობრული ან ინფორმაციული სამუშაო მიმოწერა. როგორც წესი, ისინი ყველაფერს აგროვებენ სქელ საქაღალდეებში; ნუ დაგავიწყდებათ საშობაო მილოცვების შესახებაც;
- მოუყევით ინგლისელ კოლეგებს თქვენს და თქვენი ოჯახის შესახებ, რა თქმა უნდა დეტალების გარეშე;
- საღი აზრი (მსგავსად სკანდინავიელებისა) ინგლისელებისთვისაც სერიოზული ფაქტორია;
- გასათვალისწინებელია, რომ ტრადიციების და დადებითი პრეცედენტების მოშველიება პოზიტიურად იმოქმედებს ინგლისელთან საქმიანი კომუნიკაციის პროცესში;
- ნუ დაგავიწყდებათ, რომ ბრიტანელები უფრო მეტად დაინტერესებულები არიან ურთიერთობების ხანგრძლივობით, ვიდრე გარიგების დაჩქარებით; მათთვის ასევე ძალიან საინტერესოა მოგება, მაგრამ მათ შეუძლიათ დიდხანს ელოდონ მას;
- მზად იყავით მათი უცნაური და ექსცენტრიული ქცევისთვის. ინგლისელები თვლიან, რომ ორიგინალურობას მივყავართ შემოქმედებითობისკენ;
- არ დაგავიწყდეთ, რომ ბრიტანელები არიან სხვადასხვანაირები. ზემოთ ჩამოთვლილი თვისებების უმეტესობა ეკუთვნით სამხრეთელებს. ბირმინგენის მცხოვრებ-

ლები, კელტი ბრიტანელები უფრო პრაქტიკულები და მიზანმიმართულები არიან, უფრო მეტად ამჟღავნებენ სითბოს და გახსნილობას, ნაკლებად აქცევენ ყურადღებას კლასობრივ დაყოფას, ძალიან ადვილად პოულობენ საერთო ენას ამერიკელებთან. გაითვალისწინეთ აღნიშნული და შესაბამისად დააკორექტირეთ თქვენი პოზიცია საქმიანი ურთიერობისას (რ. ლუისი).

თავი აარიდეთ (არ გააკეთოთ)

- საზოგადოებაში არ შეიძლება ღიად აკრიტიკო, იყო ემოციური და სენტიმენტალური;
- იამაყო შენი კავშირებით და წარამარა ახსენოთ გავლენიანი ხალხის სახელები;
- ძალიან ბევრი ილაპარაკოთ, მაგრამ, მეორე მხრივ სულ ჩუმადაც ნუ იქნებით;
- კლასობრივ საკითხებზე ვინმეს მხარდაჭერა, პოზიციის აღიარება;
- ძალიანაც ნუ დაეყრდნობით ლოგიკას, ინგლისელები ამაყობენ თავიანთი ინტუიციით;
- ნუ გამოთქვამთ ზედმეტად ბევრ სერიოზულ აზრებს - მომავალში ამან შეიძლება გაართულოს კომპრომისის მიღწევა;
- ნუ იქნებით ზედმეტად სერიოზულები ან ნუ მიიღებთ ყველაფერს სიტყვა სიტყვით. ინგლისელებს უყვართ ხუმრობა;
- ნუ მიაწვებით მათ, თუ ისინი საქმის გაბუნდოვანებას ცდილობენ, შესაძლოა მათ რაიმე ვერ გაიგეს ბოლომდე, ამიტომ გააკეთეთ ახალი სვლა და სხვა კუთხით აუხსენით სათქმელი.

თავი 13. იაპონიის კროს-კულტურული თავისებურებები და მმართველობითი კულტურა

იაპონია, ოფიციალურად იაპონიის სახელმწიფო, კუნძულოვანი ქვეყანაა აღმოსავლეთ აზიაში. (ნახ. 52), რომელიც მოიცავს 6852 კუნძულს. ქვეყნის ოთხი უდიდესი კუნძული ჰონსიუ, ჰოკაიდო, კიუსიუ და სიკუკუ ერთობლივად იაპონიის ტერიტორიის 97 %–ს შეადგენს.



ნახ. 52. იაპონიაhttp://www.mapsofworld.com/japan/